პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 შაბათი 17 ივლისი № 166 (16596) ფასი 2 კაპ. 1976

„სალუტ-5:“ კვლევა გრძელდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრუნზეს მართვის ცენტრი, 16 ივლისი. (სპეციალი). მოსკოვის დროით 11 საათიანთვის „სალუტ-5“ ორბიტულმა სამეცნიერო სადგურმა 380-ჯერ შემოუფრინა დედამიწას, აქედან 137-ჯერ — ეკიპაჟიანად.

დღეს ტექნოლოგიური ექსპერიმენტების პროგრამის შესაბამისად ხელსაწყო „ნაკადის“ საშუალებით ბორის ვოლინოვი და ვიტალი გოლობოვი სწავლობდნენ ზედაპირული და დაბმულობის ძალების ზემოქმედებით უწონობის პირობებში სითხის მოძრაობის თვისებებს.

სამუშაო დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სამეცნიერო კაბინის ტერიტორიის ფოტოკეთილ რაიონებში ბუნებრივი წარმონაქმნების სპექტროგრაფირება. სპექტროგადაღება წარმოებდა ატლანტის ოკეანის აკვატორიუმის ძლიერ დინებათა რაიონში.

კოსმონავტები ვოლინოვი და გოლობოვი თავს კარგად გრძნობენ. დედამიწისირგვლივ ორბიტაზე შეცნიერული კვლევის პროგრამა გრძელდება.

ფრანგული ბიბლიოთეკა

დისციპლინა — ყველგან და ყველაფერში!

ალაძვა რუსთავმა საზეიმო ვითარებაში საგზური მისცა ახალ საყოველთაო-სახალხო მოძრაობას, რომლის მიზანია სოციალისტური დისციპლინის ყოველნაირი განმტკიცება ხუკკ XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად. ეს უთუოდ დიდი მოვლენაა, რომელიც ახლებურად, ახალი ძალით განაგრძობს და აღორძავებს რესპუბლიკის მთელი რიგი შრომითი კოლექტივების ინიციატივით მეცხრე ხუთწლედში დაწყებულ მოძრაობას.

ამ შესანიშნავი თაოსნობის დაბადება ჩვენში დიამოხვა ისეთ მნიშვნელოვან პერიოდს, როცა საბჭოთა საქართველოს მშრომელები ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების ღრმა შთაბეჭდილებითა და მძლავრი ზემოქმედებით ცხოვრობენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც განიხილა სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის განსაკუთრებულად რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის თაოსნობის საკითხი, მოიწონა იგი და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უჯრედის — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მაგალითი ცხადყოფს, თუ რა დიდი გარდამქმნელი ძალა აქვს ჯანსაღი, პორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას, რომლის პირობებში თვითეულ შრომითს კოლექტივს საშუალება ეძლევა უფრო სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, შექმნას შეურიგებლობის ვითარება ყოველგვარი ნაკლოვანებისადმი.

რუსთავი ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში უკანასკნელი წლების მანძილზე მომხდარი თვალსაჩინო პოზიტიური ძვრები დამაჯერებლად, შთამბეჭდავად არის ასახული ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებაში. ეს დიდი პარტიული დოკუმენტი ამავე დროს მიგვითითებს ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ გადაუჭრელ პრობლემებსა და გამოუყენებელ რეზერვებზეც.

რესპუბლიკის ამ სამრეწველო საწარმოთა შორის, რომლებიც ვერ ასრულებენ მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმებს, არის ბათუმის თამბაქოს ფაბრიკა (დირექტორი ა. ვადაჭკორია, პარტორგანიზაციის მიეროი მდივანი ლ. ზადვილსკაია), საწარმოს ჩამორჩენის მიზეზებია მუშათა დენადობა, ხუსტი შრომის ორგანიზაცია, არარიტმული მუშაობა, იერიშობანა. ფაბრიკის პარტორგანიზაცია, რომელიც 100-მდე კომუნისტს აერთიანებს, სათანადო გავლენას ვერ ახდენს წარმოების განვითარებაზე, არ ჩანს კომუნისტთა წარმმართველი, მაორგანიზებელი როლი და პირადი მაგალითი. ეგეგმების შესრულებაში ჩამორჩენენ გარდაბნის მუყაო-რეზეროიდის ქარხანა, ბეიაურის საშენ მასალათა კომბინატი, აგარის ტანინ-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა და სხვა საწარმოები.

წლეულს საერთოდ დამაკმაყოფილებელია პირუტყვის ხაკვების დამზადების ტემპი, მაგრამ ზოგიერთ რაიონში ხელიდან უშვებენ ამ სამუშაოს შესრულების საუკეთესო დროს. ეს განსაკუთრებით ითქმის დმანისის, ახალციხის, წყალტუბოს, ცაგერის, ამბროლაურის, ონის, მახარაძის, ლანჩხუთის რაიონებზე, აუცილებელია და აჭარის ასს რესპუბლიკებზე, სადაც უხეში ხაკვების დამზადების პროცენტებს თითებზე ჩამოთვლიან.

ხაკმარისი არ არის თავთავიან კულტურათა მოსავლის აღება, ბოჰინდის ნათესების მოვლისა და ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი.

ბევრ რაიონში იკლო საფურაქე ძროხის ხაშუალო წველადობამ და კვერცხის წარმოებამ, შემცირდა ძროხის სულადობა.

ისმება კითხვა: სხვა რით უნდა ავხსნათ ჩამორჩენა, თუ არა შრომის დისციპლინის შესუსტებით, ნაკლები პასუხისმგებლობითა და მომთხოვნელობით?

ჩვენ ახლა ყველგან და ყველაფერში შეგნებული დისციპლინისათვის გრძოლის თვისებრივად ახალ — მეორე ეტაპზე ვართ, როცა მთელი სიგრძე-სიგანით დაიწყო პარტიული, საბელმწიფო, შრომის, სანარმოო, საეგეგმო, ტექნოლოგიური, საფინანსო და საშეესრულებლო დისციპლინის განმტკიცების საკითხი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა რგოლში. ეს დიდი საქმე ყოველი პარტიული ორგანიზაციის ღონეპარი საზრუნავი უნდა იყოს, რადგან შამისოდ რაიმე წარმატებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიის რაიონულ, ქალაქო, საოლქო კომიტეტებთან ერთად უნდა განახორციელონ საჭირო კონკრეტული ღონისძიებანი სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის მასობრივი მოძრაობის გასაფართოებლად და გაღარმავებლად. მათ უნდა შეიმუშაონ რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობის შესწავლა-გავრცელების გარკვეული წესი, უზრუნველყონ თვითეულ შრომითს კოლექტივში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა კომპლექსური გეგმების შედგენა ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით, გაჩაღებულ მასობრივ მოძრაობაში ყველა შრომითი კოლექტივის, თვითეული პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მონაწილეობა.

თვითეულ შრომითს კოლექტივში დისციპლინის განმტკიცების ინტერესები მოითხოვს ჩვენეულგოთ მუშაკებს მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, აღვსარდოთ ისინი ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობით სულისკვეთებით, უნარიანად შევახამოთ დარწმუნებისა და იძულების ზომები, ზუსტად განვსაზღვროთ მუშაკთა უფლება-მოვალეობანი. დადგა დრო, როცა თვითეული შრომითი კოლექტივი და პირველადი პარტორგანიზაცია პასუხს უნდა აგებდეს არა მარტო დისციპლინის საერთო მდგომარეობისათვის, „არამედ თვითეული კომუნისტისა და მშრომელის დისციპლინიანობისათვისაც. უფრო მეტიც ჩვენ დისციპლინის მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობას უნდა ვგრძნობდეთ ქუჩაში, საზოგადოებრივ, სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებში. შემნებული დისციპლინის დამკვიდრება საზოგადოების თვითეული წევრის საარსებო პოზიცია უნდა გახდეს.

ყველგან და ყველაფერში ხრული წესრიგისათვის ბრძოლაში უნდა გავაქტიუროთ საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის, სამინისტროების, უწყებების, ადმინისტრატიული და სახალხო კონტროლის ორგანოების, მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების საქმიანობა.

ყოველ მნიშვნელოვან თაოსნობას ფართო ხივრცე, მძლავრი ფრთები და მზრუნველი ხელი სჭირდება, მაგრამ იმის გამო, რომ არც თუ დიდი ხნის წინათ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა ამ პირობებს მოკლებული იყო, მათ ფართოდ გავრცელება არ ეწერათ. ასეთი შემთხვევები რომ აღარ განმეორდეს, ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობის ფართოდ გავრცელებას, დისციპლინის განმტკიცებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა საჯაროობას, ადეოლოგიური მუშაობის მდიდარი არსენალის ქმედითად გამოყენებას. საჭიროა მკაცრად, მომთხოვნელად ვადევნოთ თვალი იმას, რომ უდისციპლინობის თვითეულ შემთხვევას დროზე ეხმაურებოდნენ და ობიექტურად, სამართლიანად აფასებდნენ სათანადო ორგანიზაციები.

ჩვენ მხოლოდ პირველი სერიოზული ნაბიჯები გადავდგით დასახული მიზნის გზაზე და მთავარი საქმეები წინ არის. რესპუბლიკის მშრომელთა ბუთწლედის პირველ წელს აღებული კარგი სტარტი ამის საწინდარია, რომ ყველა გეგმა და ვალდებულება წარმატებით შესრულდება. ბუნების ჭირვეულობას ჩვენმა ადამიანებმა, ტ

პარტიული ცხოვრება

ცხოვრების ახალი ფურცელი

ადამიანი პარტიაში შედის..

ალრეც ბევრი მშრომელი მიმართავდა თბილისის პირველი მაისის რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებს თხოვნით — მიეღოთ ისინი სკკპ რიგებში. მაგრამ ამ განცხადებათა ნაკადმა განსაკუთრებით იმატა მას შემდეგ, რაც ჩვენს რესპუბლიკაში უკომპრომისო ბრძოლა გაჩაღდა საზოგადოებრივი ცხოვრების ანტიპოდებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში იმის შესახებ, „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის სამელიორო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ". ნათქვამია, რომ განსელილ პერიოდში „მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიულ ორგანიზაციათა ავტორიტეტი. გაძლიერდა მათი წარმმართველი და მაორგანიზებელი ავანგარდული რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების სხვადასხვა დარგში". რესპუბლიკაში მომხდარმა პოზიტიურმა ძვრებმა ადამიანებს გაუორკეცა შემოქმედებითი ძალები. კიდევ უფრო გაუღვივა მომავლისადმი რწმენა.

პარტიაში მიღებასთან დაკავშირებული საკითხები პარტიის პირველი მაისის რაიკომის, პირველადი პარტორგანიზაციების აუცილებელ ყურადღების ცენტრშია და ამას სათანადო შედეგიც მოსდევს. ახლა რაონის პარტიულ ორგანიზაციაში, რომელიც 317 პარტიულ კოლექტივს აერთიანებს, 11 ათასზე მეტი კომუნისტია. მარტო შარშან პარტიის წევრთას კანდიდატად მიიღეს 295, ხოლო წლეულს ექვს თვეში — 149 კაცი.

განსაკუთრებით იზრდება ისეთი დიდი პარტიული კოლექტივების ბირთვი, როგორიც არის „თბილგვირაბმშენის", მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს", სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების, ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, გაერთიანება „თბილკონდიტერის" და სხვა პირველადი ორგანიზაციები. მაგრამ ზრუნვა პარტორგანიზაციების რიცხობრივი ზრდისათვის სრულადაც არ ნიშნავს ახალი შეკვეთებისადმი მოთხოვნათა შესუსტებას. პირიქით, პარტიის XXV ყრილობამ ყურადღება გაამახვილა ამ მოთხოვნათა ამაღლების აუცილებლობაზე. პარტიული რიგების თვისებრივ გაუმჯობესებაზე. ეს ყველგან ესმით რაიონის მეტ წილ პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც თანმიმდევრულად ახორციელებენ პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის ლენინურ პრინციპს, თავიანთ რიგებში იზიდავენ ნამდვილად აქტიურ, კომუნიზმის ერთგულ მშრომელებს.

ჩვენი პარტიის სოციალურ შემადგენლობაში მუშათა ელესი იყო და იქნება წამყვანი. ამ მოვლენტს ითვალისწინებენ რაიონში, სადაც შარშან პარტიაში მიღებული 295 კაციდან 231 მუშა იყო.

ადამიანი, რომელიც თავის ბედს პარტიას უკავშირებს, ნებაყოფლობით კისრულობს მაღალ ვალდებულებას: იროს ყოველთვის და ყველაფერში წინ. იყოს იქ, სადაც სიძნელეებია, გააკეთოს სხვაზე მეტი საერთო საქმისათვის. მთელ თავის ენერგიასა და შემართებს აქსოვს საერთო საქმეს „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი, ახალგაზრდა კომუნისტი მ. კოკოლაშვილი, რომელიც მუდამ ყველა კარგი წამოწყების გული და სული. აკი ამიტომაც დაიფასა იგი ხალხმა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩია.

სიხარულისა და სიამაყის გრძნობა გეუფლებათ, როცა ეცნობით ექსპერიმენტული მორფოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. მალაკიძის, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ელექტრომემონტაჟთა ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელის, საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის წევრის, სკკპ წევრობის კანდიდატის მარინე კობიაშვილის, პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ივერიის" მუშის მარინე ხარაძის, კინოსტუდია „ქართული ფილმის" კომკავშირის კომიტეტის მდივნის თ. ჩიქოვანისა და სხვა ახალგაზრდების ცხოვრების გზას.

ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორიც არის პარტიაში მიღება, არ შეიძლება მივენდოთ თვითდინებას. საჭიროა დაფიქრავ ზრუნვა პარტიის რიგების ზრდისა და განმტკიცებისათვის. პარტიის რაიკომი, პირველადი პარტორგანიზაციები ახლა გაცილებით მეტ უურადღებას აქცევენ უპარტიო აქტივის შესწავლასა და აღზრდას. ამ მიზნით ბევრგან დამკვიდრდა ღია პარტიულ კრებებზე უპარტიო აქტივისტთა რეგულარული მიწვევა, მათი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობაში ჩაბმა და სხვა. პარტიულ კოლექტივებს თავის ამოცანად ის მიაჩნიათ, რომ გამოავლინონ ყველაზე მოწინავე ადამიანები, ჩაუნერგონ მათ კომუნისტისათვის აუცილებელი თვისებები. ბოლო ხანს რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო ინტელიგენციის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც არიან პირველი ქართველი საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში ბ. გურგენიძე, ცხობილი საესტრადო მსახიობი თ. ჩანტლაძე და სხვები.

რაიონის პარტიული ორგანიზაციის რიგების შევსების მნიშვნელოვან რეზერვად ითვლება კომკავშირი, რომელიც 20 ათასზე მეტ ახალგაზრდა და ჭაბუკს აერთიანებს. პარტიული ორგანიზაციები ახალგაზრდობასთან მუშაობაში იზიდავენ თავიანთ საუკეთესო ძალებს, რომლებსაც ღრმა ცოდნა და მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ. ისინი თავიანთ გამოსულებში აშუქებენ მშრომელთა წინაშე მდგომ ამოცანებს, უპასუხებენ კითხვებზე, რომლებიც ახალგაზრდობას აინტერესებს. ამიტომაც არის, რომ დიდი ინტერესი ახალგაზრდობის მხრიდან ეკავა ბ. ბურგენიძე, ცხობილი საესტრადო მსახიობის თ. ჩანტლაძე და სხვების.

ასეთ ადამიანებს, ასეთ ადამიანებს ეკუთვნის ეს ადგილი. ეს ადამიანები ბევრ ადგილზე, ბევრ საქმეში, ბევრ ადგილას, ბევრ ადამიანთან ერთად, ბევრ ადამიანისთვის, ბევრ ოჯახში, ბევრ ბავშვთან ერთად, ბევრ ბავშვისთვის

ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი



საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 1976 წლის 15 ივლისს გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ა. მ. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი.

ნ. ი. მუსხელიშვილი იყო მეცნიერების ნიჭიერი ორგანიზატორი, დიდი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა მეცნიერების, სოციალისტური სამშობლოს უანგარო სამსახურს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმეს.

ნ. ი. მუსხელიშვილი დაიბადა 1891 წლის 16 თებერვალს თბილისში. მისი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო 1914 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე. 1920-1935 წლამდე ნ. ი. მუსხელიშვილი პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

მომდევნო წლებში მთელი მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა დაკავშირებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიებთან. მათემატიკისა და მექანიკის დარგში თვალსაჩინო მეცნიერული მიღწევებისათვის 1933 წელს ნ. ი. მუსხელიშვილი აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1939 წელს — აკადემიის ნამდვილ წევრად. 30 წელზე მეტ ხანს იგი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი 1941 წლიდან — მისი დაარსების დღიდან.

ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში, შექმნა და სათავეში ჩაუდგა თავისი თვალსაჩინო შედეგებით ფართოდ ცნობილ მათემატიკოსთა და მექანიკოსთა მეცნიერულ სკოლას. მისმა შესანიშნავმა ნაშრომებმა დრეკადობის თეორიაში, ინტეგრალური განტოლებების თეორიასა და მათემატიკისა და მექანიკის სხვადასხვა დარგებში ფართო აღიარება პოვეს როგორც სსრ კავშირში, ისე საზღვარგარეთ. იგი იყო საზღვარგარეთის მთელი რიგი მეცნიერებათა აკადემიებისა და სამეცნიერო საზოგადოებების წევრი.

დიდ მეცნიერულ და მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობას იგი უხამებდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას. ნ. ი. მუსხელიშვილი არჩეული იყო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს ნ. ი. მუსხელიშვილის მრავალმხრივი მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სპასატო წოდება, დაჯილდოვდა ექვსი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის ორდენებით, ბევრი მედლით.

შესანიშნავი ადამიანის, კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, გამოჩენილი მეცნიერის — ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანების გულში.

ა. ჯ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, მ. ა. სუსლოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. უ. ჩერნენკო, ე. ა. შევარდნაძე, ვ. ა. კირილინი, ა. ვ. ალექსანდროვი, ს. პ. ტრაპეზნიკოვი, მ. ვ. კელდიში, ზ. ა. პატარიძე, ი. ნ. ვეკუა, ვ. ა. კოტელნიკოვი, ა. ა. ლოგუნოვი, ნ. ნ. ბოგოლიუბოვი, ვ. ა. ამბარცუმიანი, ი. მ. ვინოგრადოვი, მ. ა. ლავრენტიევი, ბ. ი. მარჩუკი, ე. კ. ხარაძე.

საერთაშორისო ამბები

გადავაქციოთ ევროპა მშვიდობის კონტინენტად

ბონი, (საკადესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა დემოკრატი უდიდესი უურადღებით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციაზე, თქვა გერმანელთა კომპარტიის გამგეობის პრეზიდიუმის წევრმა ი. ანგენფორტმა.

ამ სიტყვამ კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტებს, მთელ საბჭოთა ხალხს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ძალღონე არ დაიშურონ, რათა გადაქციონ ევროპა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების კონტინენტად, ხელი შეუწყონ განიარაღების პრობლემის გადაჭრას და ამით უზრუნველყონ სოციალური პროგრესის საუკეთესო შესაძლებლობანი.

ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დადასტურებული წინადადება, რომ შეთანხმდნენ მხარეების შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების თანაბარი შემცირების თაობაზე და ამ საკითხზე, რომ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების მოლაპარაკების მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულება არ გაადიდონ თავიანთი შეიარაღებული ძალების რიცხვი, სანამ მოლაპარაკება წარმოებს, მთლიანად და სავსებით შეესაბამება ჩვენი ხალხის უფართოესი ფენების ინტერესებს, რომელიც მხარს უჭერს იმპერიალიზმის მიერ გაჩაღებული გამლებული შეიარაღების შეწყვეტას, აღნიშნა ი. ანგენფორტმა.

ბერლინის კონფერენციის საბოლოო დოკუმენტი შეიცავს მოთხოვნას, რომ შეიმცირონ ატომური იარაღის პოტენციალი, შეწყვიტონ გამლებული ატომური შეიარაღება და საერთო აკრძალვა დაუწესონ მასობრივი მოსპობის იარაღის ახალი სახეობისა და სისტემების შექმნას. ამ მოთხოვნას მხარს უჭერს ყველა ევროპელი ხალხი, რომლებიც უარყოფენ დემაგოგიას, რომლის საშუალებითაც ნატოს მესვეურები ცდილობენ დაარწმუნონ ისინი, თითქოს სახელმწიფოთა უშიშროების ერთადერთი გარანტია იყოს ატომური იარაღის დაგროვება სულ უფრო მეტი რაოდენობით.

გერმანელთა კომპარტია, თქვა შემდეგ ი. ანგენფორტმა, დიდად ფასობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წვლილს ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებაში. ბერლინის კონფერენციის მონაწილე პარტიებთან ძმური შეკავშირებით, მარქსის, ენგელსისა და ლენინის დიადი იდეების საფუძველზე, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგული გერმანელთა კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს იხმარს, რათა განახორციელოს ევროპის მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის ჩვენი კონტინენტის კომუნისტთა ბრძოლის ერთობლივი პროგრამა.

უმცროსი პარტნიორების საფიანოდ

შეშფოთება „საერთო ბაზრის“ პატარა ქვეყნებში

„საერთო ბაზრის“ პატარა ქვეყნებში შეშფოთებული არიან ამ კომპრომისის გამო, რომელსაც ბრიუსელში მიაღწიეს ეგრეთწოდებულ ევროპის პარლამენტში ადგილების განაწილების საკითხში. ეს ქვეყნები შიშობენ, რომ ევროპის ეკონომიური გაერთიანების სამი დიდი სახელმწიფო — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი და ინგლისი, რომლებმაც მიიღეს ადგილების უმრავლესობა პარლამენტში, ერთად გადაწყვეტენ „საერთო ბაზრის“ პრობლემებს თავიანთი უმცროსი პარტნიორების საზიანოდ.

დუბლინი. ევროპის საზოგადოებათა საბჭოს გადაწყვეტილება მკაცრად გააკრიტიკა „ირლანდიის სუვერენიტეტისათვის მოძრაობამ“, თუ ამ ეგრეთ წოდებულმა ევროპის პარლამენტმა, ნათქვამია მის განცხადებაში, მიიღო რეალური რწმენებულებანი, ირლანდია, რომელსაც მასში ადგილების მხოლოდ 3 პროცენტი აქვს დამომბილი, იძულებული იქნება შეასრულოს ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გადაწყვეტილებანი.

კოპენჰაგენი. „ევროპის ეკონომიური გაერთიანებებიდან დანიის გამოსვლის სახალხო მოძრაობის“ ორგანიზაციამ პარლამენტის საერთო ბაზრის საკითხთა კომისიას მოუწოდა უარყოს ბრიუსელის გადაწყვეტილება ევროპის პარლამენტის არჩევნების შესახებ. ორგანიზაციის განცხადებაში, რომელიც გაზეთმა „ლაბ ოგ ფოლკმა“ გამოაქვეყნა, ნათქვამია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დანიას კიდევ უფრო ნაკლები შესაძლებლობა ექნება გაატაროს დამოუკიდებელი პოლიტიკა.

ბაგა. ბრიუსელში მიღებული გადაწყვეტილება, წერს გაზეთი „დე ტელეგრაფი“, ნიშნავს, რომ ნიდერლანდი თითქმის ევროკავშირის როლს ვერ შეასრულებს ევროპის პარლამენტში.

(საკადესი).

ჯ. კარტერის გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი. (საკადესი). დემოკრატიული პარტიისაგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯ. კარტერმა პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრის სენატორი უ. მონდეილი.

უ. მონდეილი დაიბადა მინესოტის შტატის ქალაქ სილონში, სოფლის მეურეის ოჯახში. განათლება მინესოტის უნივერსიტეტში მიიღო. მსახურობდა სამხედრო-საპაერო ძალებში.

1964 წელს იგი დაინიშნა სენატში ამ ადგილზე, რომელიც განთავისუფლდა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტად ჰ. ჰემფრის არჩევის გამო. სენატში სელმეორედ აირჩიეს 1966 და 1972 წლებში. მონდეილს ახასიათებენ როგორც „ზომიერ ლიბერალს“.

ექსპორტი ეზიზღება

ლუქსემბურგი. (საკადესი). 1975 წელს ლუქსემბურგის ექსპორტი 1974 წელთან შედარებით 18 პროცენტით შემცირდა ამ ქრიზისის გამო, რომელმაც მოიცვა დასავლეთის ქვეყნები. მონაცემები, რომლებიც მოჰყავს „ბინგ ენტერნასიონალს“, მოწმობენ, რომ ამპორტი თითქმის იგივე დონეზე დარჩა. ეს კი ლუქსემბურგის საგარეო ვაჭრობას დეფიციტის ზრდის მეზეხია. ექსპორტის შემცირება უმთავრესად ლითონის წარმოების დაკლებასთანაა დაკავშირებული.

მდგომარეობა ლიბანში

ბეირუთი. (საკადესი). სირიის ჯარებმა დაიწყეს უკან დახევა სამხრეთ ლიბანის ქალაქ საიდიდან, რომელსაც კონტროლს უწევენ მემარცხენე ძალები, ჯეზინის რაიონში, ეს „პალესტინის ხმის“ რადიოთი გამოაცხადა ეროვნულ პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის გაერთიანებული ჯარების სარდალმა სამხრეთ ლიბანში პოლკოვნიკმა აბუ მუსამ.

გაფაფრებული ბრძოლები გრძელდებოდა ბეირუთში მდებარე პალესტინელთა ტელ-ზაატარის ბანაკის გარშემო, რომელსაც უკვე 24 დღეა ირტყლერის მასირებულ ცეცხლს უშენენ მემარჯვენე ძალები. შეიარაღებული შეტაკებები გრძელდებოდა აგრეთვე ლიბანის დედაქალაქის ცენტრალურ რაიონებში, მის აღმოსავლეთ გარეუბნებში, აგრეთვე დასახლებული პუნქტების ალეისა და კაპალეს გარშემო, რომლებიც ბეირუთ-დამასკოს ავტოსტრადაზე მდებარეობენ. სირიის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ბაალბეკი.

პრესა თუწყობა, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარე ი. არაფატი ეწვევა დამასკოს, სადაც შეხვდება სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰ. ასადს ლიბანის მდგომარეობისა და სირია-პალესტინის ურთიერთობის ნორმალიზაციის გზების განსასაზღვრელად. ამის შემდეგ მოელიან ლიბან-პალესტინის დიალოგის დაწყებას.

კაირო. (საკადესი). არაბული ქვეყნების ლიგის გენერალურმა მდივანმა მ. რიადმა აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ სირიისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის შერიგება უნდა გახდეს ფუძემდებელი ნაბიჯი ლიბანში მშვიდობის აღდგენის გზაზე.

ქარიკატურისტის კომენტარი

ლიბანის მემარჯვენე-ქრისტიანული ძალები ატორაპედენ კრიზისის პოლიტიკურ მოწესრიგებას და მიზნად ისახავენ ომის გზით გაანადგურონ ეროვნულ-პატრიოტული ძალები და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა, რაც იმპერიალიზმისა და ხოინიზმის გეგმებს შეესაბამება. (გაზეთებიდან).



ვის ზიზღვილზე ასხამენ... ძმათა სისხლს.

ბ. ლომიძის ნახატი.

ბანცხადება თურქეთის მთავრობისადმი

15 ივლისს სსრ კავშირის ელჩი თურქეთში ეწვია პრემიერ-მინისტრს ს. დემირელს და საბჭოთა მთავრობის სახელით შემდეგი განცხადება გააკეთა:

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, თურქეთის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გათავისუფლოს პატიმრობიდან დამნაშავე ბრაზინსკასები, და თურქეთის მთავრობამ საჭირად ცნო მისცეს მათ თურქეთიდან გასვლის უფლება.

ბრაზინსკასებმა 1970 წელს სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩაიდინეს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული, გაიტაცეს საბჭოთა სამოქალაქო თვითმფრინავი თურქეთში, მოკლეს ბორტგამცილებელი ნ. ვ. კურჩენკო და დაჭრეს თვითმფრინავის ეკიპაჟის სხვა წევრები. ბუნებრივია, მოსალოდნელი იყო, რომ ბანდიტების ამ აქტს მოჰყვებოდა სასტიკი სასჯელი, რომ განახორციელებდნენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც შეესაბამება, როგორც ცის მეკობრეობის აღკვეთის მიზნებს, ისე საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის მეგობრულ ხასიათს.

მაგრამ საბჭოთა კავშირის მოთხოვნა მისთვის დანაშაულე ბრაზინსკასების გადაცემის შესახებ არ დაკმაყოფილეს. თურქეთის ხელისუფლებამ სქმე ისე წარართვეს, რომ დამნაშავეებს აკმარეს გაუმართლებლად ლმობიერი სასჯელი, შემდეგ კი საერთოდ გაათავისუფლეს პატიმრობიდან. უფრო მეტიც, მათ ნება დართეს თურქეთიდან წასულიყვნენ ისეთ ქვეყანაში, რომელიც, როგორც თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, მისცეს მათ თავშესაფრის უფლება, რითაც დამნაშავეებმა ისარგებლეს.

საბჭოთა მთავრობას ყოველივე ეს მიაჩნია ისეთ მოქმედებად, რომელიც არ შეესაბამება თურქეთის ხელმძღვანელთა არაერთგზის განცხადებებს იმის შესახებ, რომ მათ სურთ კეთილმეზობლური ურთიერთობა და თანამშრომლობა განავითარონ საბჭოთა კავშირთან. ეს მოქმედება აშკარად ეწინააღმდეგება თვითმფრინავების უკანონო გატაცებისა და იმ მძიმე დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანებს, რაც ხშირად თან სდევს ასეთ გატაცებას. რადგან ის, რაც ბრაზინსკასების მიმართ მოხდა, არსებითად ნიშნავს საერთაშორისო საჰაერო ყაჩაღობის აქტებისადმი წაყრუებას, ბრაზინსკასებს თავშესაფარიც კი უპოვეს, თუმცა რა თავშესაფარის უფლებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა საქმე ეხება მკვლელებს, რომლებიც თურქეთის სასამართლომაც სისხლის სამართლის დამნაშავეებად ცნო.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ დამნაშავე ბრაზინსკასები, სადაც უნდა იმყოფებოდნენ, უნდა გადასცენ საბჭოთა კავშირს, და მათი მფარველობა მიაჩნია სსრ კავშირის მიმართ არამეგობრულ აქტად.

მიფრინავს „კოსმოს-840“

1976 წლის 14 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-840“.

კოსმოსური უნივერსიტეტები

—დილა მშვიდობისა, „ბაიკალებო“. როგორ ბრძანდებით ღელეს რით დავიწყოთ? ახალს რას გვეტყვით? — ასეთი სიტყვებით იწყება ყოველი სამუშაო დღე „სალუტ-5“ სადგურის ფრენის მართვის ცენტრში.

— ჩინებულ გუნებაზე ვართ. როგორც ყოველთვის, ვიწყებთ გამამხნევებელი ვარჯიშით, — თქვა პასუხად მეთაურმა. —დღეს საზეიმო სადილს ვაპირებთ სადგურში ერთი კვირის მუშაობის გამო.

ფრენის ხელმძღვანელმა, მედიკოსებმა, სპეციალისტებმა, რომლებიც ეკიპაჟს სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ტექნიკური ექსპერიმენტების დიდი კომპლექსის შესრულება დაავალეს, ეკიპაჟს მიულოცეს ექსპედიციის წარმატებით დაწყება. ყველა ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ სამუშაო კვირა ეკიპაჟმა კარგი რიტმით და კარგი გუნება-განწყობილებით გადატარა.

ახალიზის ჯგუფმა, რომელიც ყოველდღე აკონტროლებს პროგრამის შესრულებას და მის შემდგომ განვითარებას აპროგნოზებს, მაღალი შეფასება მისცა სამხრეთ სისტემების მუშაობას, რომლებმაც ნორმალური პირობები უნდა უზრუნველყოს ეკიპაჟის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის. სადგურის ნაკვეთურებში მუდმივი ტემპერატურაა 22 გრადუსი, ტენიანობაც ნორმალურია. კოსმოსური ხელსაწყოები ორბიტულ სახლს არა მარტო დედამიწის ნორმალური ატმოსფეროთი ამარაგებენ, არამედ აწარმოებენ სასმელ და სახმარ წყალსაც თითქოსდა არაფრისაგან — ჰაერისგან. რეგენერაციის სისტემა „პრობიო“ სადგურის ტანს აგროვებს და სუფთა დისტილირებულ წყლად აქცევს, შემდეგ მარილებითა და ვერცხლით „აკეთილშობილებს“.

ორბიტის სახლი სტაბილურ ორიენტაციას ინარჩუნებს. ეწყობა ექსპერიმენტები და დაკვირვება, რომლებიც „დედამიწურ“ მეცნიერებათა საზრუნავს უკავშირდება. სამეცნიერო ექსპერიმენტების ჯგუფში შემავალ ამ მეცნიერების წარმომადგენლებთან გადიოდნენ თავიანთ საგანგებო კოსმოსურ უნივერსიტეტებს ესორის ვოლინოვი და ვიტალი ჟოლობოვი.

კოსმონავტთა ბორტჟურნალებში გაჩნდა პირველი ანგარიშები სამეცნიერო ექსპერიმენტების შესახებ. ბორტინჟინერმა მოაწყო ჩამავალი და ამომავალი მზის სხივებში დედამიწის ატმოსფეროში სპექტროგრაფირების პირველი სეანსები. ამ სპექტროფილმს კინოაპარატის მსგავსი მუხუჭები ყავერით იღებენ, რომელიც ლენინგრადის უნივერსიტეტში დაამზადეს. კოსმოსის გარიჟრაჟის შესახებ ამ ფირის დამუშავების შემდეგ მეცნიერები დააზუსტებენ მოხაცემებს ატმოსფეროში აეროზოლების შედგენილობის შესახებ, რომლებიც დიდნინშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი პლანეტის ჰაეროს ფორმირებაში.

სრული სვლით ვითარდება მოგალენები ორბიტული ლაბორატორიის ბიოლოგიურ განყოფილებაში, აკვარიუმში ქვირითიდან უკვე დაიჩეკნენ ლიფსიტები. მათ პირველ „ნაბიჯებს“ უწონობის პირობებში იღებენ კინოფირზე.

პირველი ახალი ამბები მოვიდა დედამიწაზე სადგურის ტექნოლოგიური „საამქროდან“. კოსმონავტებმა უწონობის პირობებში მოაწყვეს ექსპერიმენტი — ბეტონელების დნობა. უწონობა განსაკუთრებულ პირობებს ქმნის ზოგიერთი მეტალურგიული პროცესებისათვის, კერძოდ, ისახება ლითონის სხვადასხვა ნაგნობიდან იღებული სუფთა სუბიულების ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

კოსმონავტები მთლიანად შეეგუნენ უწონობას ფრენის უკვე მეხუთე-მეექვსე დღეს, მედიკოსები ამ პერიოდს ჩვეულებრივ 3-12 დღეს „მიაკუთვნებენ“, ერთი საინტერესო დაკვირვება: მუშაობის პირველი დღეების დაძაბული გრაფიკი ხელს არ უშლის უწონობის პირობებისადმი ორგანიზმის ადაპტაციას. ამიტომ ექიმები, მაგალითად, სრულიადაც არ შეიწუხებია კოსმონავტთა თხოვნას, რომ „თავისი პირველი დასვენების დღე აქტიურად გაეტარებინათ“. მან შეაშფოთებდათ საწინააღმდეგო მოვლენა — ეკიპაჟი რომ „დასვენების დღეზე“ დათანხმებულიყო.

ეკიპაჟის კარგ განწყობილებასა და მაღალ შრომისუნარიანობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მედიკამენტების პატარა აფთიაქი ჯერაც არ გაუხსნიათ. კოსმონავტებს აქტიური სამუშაო ფორმის შესარჩუნებაში ეხმარება „მორბენალ ბილიკზე“ ვარჯიში. ორივე კოსმონავტი ამ ორბიტულ „სტადიონზე“ დღეში ორ საათს ვარჯიშობს. როგორც ბორის ვოლინოვმა განაცხადა, ყოველი გარბენის შემდეგ ისინი „სასიამოვნო მიწიერ დაღლილობას“, მერე კი ძალების მოზღვავებას გრძნობენ.

ამრიგად, ორბიტულ სამეცნიერო სადგურში დამთავრდა ეკიპაჟის მუშაობის ერთი კვირა. სამხნევის უკანასკნელი გაკვეთილი მორბენალ ბილიკზე და შემდეგ მსუბუქი ვარჯიში. ბორტინჟინერი რთავს ჰაერის საწმენდ ფილტრს — ცხარე შრომითი დღის შემდეგ ძილი არა მარტო მაგარი უნდა იყოს, არამედ ჯანსაღიც მეთაურმა თვალი გადაავლო მართვის პულტებს, რომლებიც ძილის დროს „სამუშაო რეჟიმში“ იქნება.

ნ. ჟელეზნოვი,

საკადესის სპეც. კორ.

ფრენის მართვის ცენტრი

ორბიტული საღგურები: სამეცნიერო ლაბორატორიები

კოსმოსის უთვალავი გზიდან საბჭოთა მეცნიერები იმ გზებს ირჩევენ, რომლებიც საშუალებას აძლევთ გადაწყვიტონ მეცნიერებისა და ტექნიკის ძირეული, სამაზო პრობლემები. ჩვენს კოსმოსურ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პილოტირებულ ორბიტულ სადგურებს — ნამდვილ მრავალფუნქციურ სამეცნიერო-კვლევითს კოსმოსურ ლაბორატორიებს.

მეცნიერები დარწმუნდნენ, თუ რა უდავო უპირატესობა აქვს „კოსმოსურ“ ფოტოსურათებს ბევრი მიწიერი პრობლემის გადაწყვეტისათვის. „სალუტ-4“ ორბიტული სადგურით მეორე ექსპედიციის ფრენის დროს კოსმონავტებმა პ. კლიმუკმა და ვ. სევასტიანოვმა შავ-თეთრ და ფერად ფირზე გადაიღეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 8,5 მილიონი კვადრატული კილომეტრი ამიერკავკასიიდან სახალინამდე. ყველაზე სრულად არის გადაღებული შუა აზიის რესპუბლიკებისა და ყაზახეთის ტერიტორია.

კოსმოსური ფოტოსურათებით ქვეყნის ბევრ რაიონში უკვე მომდინარეობს ნავთობისა და გაზის, ლითონის მადნის ძიება, დგება რწყვისა და გასარწყავების პროექტები, ისახება მომავალი გზების, ელექტროგადამცემი ხაზების, ნავთობისა და გაზსადენების ტრასები.

დედამიწისირგვლივი ორბიტის სიმაღლიდან ისახება მეცნიერული ძიების ახალი შესაძლებლობები ნაოფოფო-სამეურნეო წარმოებაშიც.

კოსმოსური ინფორმაციის უდიდესი მნიშვნელობა მისი ოპერატიულობაა. ბი თვალსაჩინო მაგალითი. რიგა კლიმუკისა და სევასტიანოვის მიერ გადაღებული ფოტოსურათები დედამიწაზე მიიღეს, მეცნიერებმა მათი გაშიფვრის შემდეგ შეადგინეს შუა აზიის უდაბნოების დაწერილებითი გეოლოგიური რუკა და მისცეს ნავთობისა და გაზის პერსპექტიული უბნების დასკვნა.

გადაღება ივლისში წარმოებდა, სექტემბერში კი გეოლოგთა რაზმმა აღნიშნული რაიონების დაზვერვა დაიწყო. რა მოჰყვა ამას? პროგნოზი გამართლდა. აღმოჩნდა ნავთობით მდიდარი ახალი რაიონები. ვარდა ამისა, ფოტოგადაღების დახმარებით მანგრმოყოს ნაპვარკუნძულზე აღმოჩნდა ახალი მტკნარი წყლის მიწისქვეშა წყაროები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამოთახმარო მეცხოველეობისათვის.

გადაღება წარმოებს არა მარტო გეოლოგების, არამედ მეტყევეების, გლაციოლოგების, კარტოგრაფების, მელიორატორების, მეჩადურების, ბიოლოგების, ნიადაგმცოდნეებისა და სხვა სპეციალისტების განცხადებებითაც.

ახლა კოსმოსში შრომობს „სალუტ-5“ სამეცნიერო სადგურის ეკიპაჟი — ბორის ვოლინოვი და ვიტალი ჟოლობოვი. უეჭველია, რომ მათი მუშაობის შედეგები უდიდეს დახმარებას გაუწევს ჩვენი ქვეყნის სახალხო შეურნეობის ბევრი დარგის სპეციალისტებს.

ინჟინერი

პ. პოგოდაევი.

(საკადესი).

რედაქციაში სიგნალი მოვიდა

პილპილ-მოყრილი მაღლი

ნაადრევი სიხარული

„ჩვენი სახლი „თემქის“ დასახლების მესამე მიკრორაიონის მეორე კვარტალში (№ 32 ბ) მდებარეობს. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ახალსახლობა ვიზეიმეთ, მაგრამ რაოდენ ხანმოკლე აღმოჩნდა ეს სიხარული. თუმცა მშენებლებს უხარისხოდ გაუკეთებიათ სახლის სახურავი და დაიწყო თუ არა წვიმა, წყალი ჭერიდან ნიაღვარივით წამოვიდა.

ამის შემდეგ ვინ იცის რამდენჯერ მივმართეთ თბილგვირაბმშენის სამმართველოს საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის ხელმძღვანელებს, მაგრამ...

წერილი კოლექტიურია. მას ხელს აწერენ თბილგვირაბმშენის მუშები შ. ბაბაჯანიძე, გ. ბაბაჯანიძე, ნ. პაპაუაშვილი და შ. ბლიაძე.

აღნიშნული ფაქტის დასადგენად თემქის დასახლებაში გავეგზავნეთ. წერილის ავტორები მართალი აღმოჩნდნენ. სახურავი თავიდანვე უხარისხოდ არის გაკეთებული.

რატომ მოხდა სახლის უხარისხო სახურავით საექსპლოატაციოდ ჩაბარება? რატომ შემდგომ არ გაუკეთეს სახურავს რემონტი, რას ფიქრობენ მომავალში მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით? ამ კითხვებით მიმართეთ თბილგვირაბმშენის საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის უფროსს ბ. გულუას, რომელმაც გვაცნობა:

— სახლი ჯერ კიდევ 1973 წელს იქნა გადაცემული საექსპლოატაციოდ. იგი აშენა თბილგვირაბმშენის სამმართველოს № 213 მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ, რომელსაც მაშინ ს. ჭურაძე ხელმძღვანელობდა. მიღების კომისია მაშინ კრიტიკულად არ მიუდგა უხარისხოდ გაკეთებულ სახურავს და მისი ვარგისიანობა დამაკმაყოფილებლად ჩათვალა. მალე გამოირკვა, რომ მშენებლები თურმე უღარღლად მოეკიდნენ დაკისრებულ მოვალეობას.

ამის შემდეგ ვინ იცის საღ არ ვანინიხლეს უხარისხო სახურავის საკითხი, ვის არ დაევალა მისი გაკეთება, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს.

მოვიყვანთ ერთ-ერთ დოკუმენტს. მარწმუნ 7 ოქტომბერს თბილგვირაბმშენის სამმართველოს ხელმძღვანელობამ ოფიციალური, მეტად მკაცრი ტონითაც მმართველ საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის უფროსს დ. გულუას. მიმართვაში სწერია: „შემოვიდა 32 ბ სახლის მობინადრეთა კოლექტიური საჩივარი, რომ სახურავი წვიმის წყალს იტარებს. წინადადების გაძლევთ სასწრაფოდ მიიღოთ ზომები, გაარემონტოთ სახურავი ოქტომბერში, და შესრულება მოგვახსენოთ“.

ამ მიმართვის მიღებიდან საკმაო დრომ განვლო, ბევრმა წყალმა ჩაიარა, № 32 ბ სახლის სახურავი კი ისევ ძველებურად გამოიყურება. როდემდის გასტანს ასე?

აბშენეს და ინგრევა

ეს სიგნალიც რედაქციამ ამ დღეებში მიიღო. მისი ავტორიც კანონიერ აღმფოთებას გამოთქვამს მირცხულავას ქუჩაზე მდებარე № 3-ა საცხოვრებელი სახლის უხარისხოდ აშენების გამო. სიგნალის ავტორი წერს.

...ახლა, როცა მთელი ყურადღება გადატანილი უნდა იყოს ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრად გაუმჯობესებაზე, ნუთუ შეიძლება ასე შენება?

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, სახლი მირცხულავას ქუჩაზეა აგებული.

მშენებლებმა ამ სახლის აგებისას ბევრი ხარვეზი დატოვეს, მაგრამ გაურკვეველია რას ეყრდნობოდა სახლის საექსპლოატაციოდ გადაცემის მიღება კომისია (თავმჯდომარე ე. გოგიტიშვილი), როცა უხარისხოდ აგებული სახლის მიღებას ხელს აწერდა?

რა დეფექტები აქვს სახლს, რომელიც ინკომშენის ტრესტის № 4 სამმართველომ ააშენა?

კედლები კედლებს არა ჰგავს, იატაკი-იატაკს. კიბეებიც „ცუდ“ შეფასებას იმსახურებს. იატაკზე დაგებულია ყოველად უსწორმასწორო, უხარისხო ფილები, უვარგისია კარები, ფანჯრები, დაბალ დონეზეა შესრულებული სამეღებრო საფუძვლები.

სახლის უხარისხოდ აშენება ნაწილობრივ გამოიწვია თბილისის ხე-ტყის დამამუშავებელი კომბინატიდან და ინკომშენის ტრესტის რკინა-ბეტონის ქარხნიდან შემოზიდულმა უვარგისმა ნაკარმამ, მაგრამ მშენებლებს ხომ შეეძლოთ უარი ეთქვათ ასეთი პროდუქციის გამოყენებაზე?

აქედან მთავრდება სახლის პირველი და მეორე სადარბაზოების მშენებლობა. აქ საქმე შედარებით უკეთესად გამოიყურება, თითქმის წესრიგშია სახლის ყველა კუთხე-კუნჭული, მაგრამ რა ეშველება ადრე აშენებულ სადარბაზოებს? ამაზე უნდა იფიქრონ ტრესტისა და სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელობამ და დეფექტები ახლო მომავალში გამოასწორონ.

და ამ სახლს აქვს კიდევ ერთი ნაკლი, რაზეც სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამენ მობინადრენი. საბინაო სამმართველომ, რომელსაც მირცხულავას ქუჩაზე მდებარე № 3 ბ სახლი ეკუთვნის, დღემდე დადებითად ვერ გადაწყვიტა სახლიდან ნაგავის სისტემატურად გატანის საქმე. შედეგი კი სრული ანტისანიტარია.

ზ. მერკვილაძე.

დღეს მონრეალში გაიხსნება XXI ოლიმპიური თამაშები

mantréal76

მსოფლიოს სპორტის ზეიმი

სწრაფად, მაღლა, ძლიერად!

ზუსტად 15 საათზე მონრეალის დროით, მაშინ, როდესაც მოსკოვში 22 საათი იქნება, ხოლო თბილისში — 23, კანადის ამ ქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე 70 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართება 1976 წლის XXI საზაფხულო ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალი. საზეიმო მარშით შემოვლენ სარბიელზე სპორტსმენთა კოლონები, რომელთა ხვლის ტრადიციისამებრ გაეხსნის საბერძნეთის დელეგაცია — ქვეყნისა, სადაც იშვა, ხოლო შემდეგ მეორე სიცოცხლე მიიღეს ოლიმპიურმა თამაშებმა. ფლაშტოკზე აღიმართება ქათქათა დროშა ხუთი გადაჯვარებული რგოლით. ქვემეხების სალუტის ხმა მოიცავს არემარეს, ცაში ათასი მტრედი შეკრავს კამარას. და აი ცერემონიალის კულმინაციაც: სტადიონის თავზე აღმართულ ჯამში აგიზგიზდება შორეულ ელადაში დანთებული ცეცხლი. ოლიმპიელები საზეიმო ფიცს დადებენ...

კიდევ 15 დღე იგიზგიზებს ოლიმპიური ცეცხლი შორეულ მონრეალში, 15 დღის განმავლობაში სპორტის 25 სახეობაში შეეცილება ერთმანეთს 132 ქვეყნის 11 ათასზე მეტი სპორტსმენი საუკეთესოს სახელს. ოლიმპიური სტადიონი, ოლიმპიური პარკი, სპორტის სასახლე „ფორუმი“, მორის რიშარის სარბიელი, ონტარიოს ტბა, ნოტრ-დამის კუნძული და სხვა ასპარეზები, მწვავე და საინტერესო სპორტულ შეჯიბრებათა მოწმე გახდება.

„სწრაფად, მაღლა, ძლიერად!“ — ასეთია ოლიმპიადის დევიზი. ანტიკურ ასპარეზობებიდან თანამედროვე ოლიმპიურმა თამაშებმა მემკვიდრეობად მიიღეს კეთილშობილური ტრადიციები, ხაზეიმო ელფერი.

1952 წლიდან დაწყებული ექვს ოლიმპიადაზე საბჭოთა სპორტსმენებმა სულ მოიპოვეს 563 მედალი — 211 ოქროსი, 183 ვერცხლისა და 169 ბრინჯაოსი. 290 საბჭოთა ათლეტმა მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონობა პირად და გუნდურ შეჯიბრებებში.

420 ოქროსი, 420 ვერცხლისა და 437 (ბრონზა და ძიუ-დოში ბრინჯაოს მედლებს იღებენ მეხამე და მეოთხე ადგილებზე გამოსული სპორტსმენები) მედალი დაამზადეს ორგანიზატორებმა მონრეალის ოლიმპიადისათვის.

ვინ იქნებიან მათი მფლობელნი, რამდენ მედალს მოიპოვებენ საბჭოთა სპორტსმენები (სულ 421 ვაჟი და ქალი), ვინ ჩამოიტანს საქართველოს 14 ათლეტთაგან ამ ყველაზე საპატიო ასპარეზობის ჯილდოებს? ამის პასუხს სულ მალე გავიგებთ — ოლიმპიადის პირველი სტარტი ხვალ მიეცემა და ხვალვე გათამაშდება მონრეალის მედლების პირველი ხუთი კომპლექტი — საგზატკეცილო ველოსიპედში, სროლაში მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან, 200 მეტრზე ცურვაში ვაჟთა შორის, ქალთა კომბინირებულ ამანათცურვაში 4X100 მეტრზე და ძალოსნობაში (უმჩატესი წონა).

მონრეალი—ოლიმპიური სტადიონი



თამაშების კალენდარი

მონრეალი

18 ივლისი — 1 აგვისტო

აკადემიური ნიჩბოსნობა —	18—25
ბალახის ჰოკეი —	18—30
ველოსპორტი —	18—26
თავისუფალი ჭიდაობა —	27—31
თანამედროვე ხუთჭიდი —	18—22
კალათბურთი —	18—27
კლასიკური ჭიდაობა —	20—24
კრივი —	18—31
მშვილდოსნობა —	27—30
მძლეოსნობა —	28—31
ნიჩბოსნობა ბაიადერებით და კანოეთი —	28—31
საიალქნო სპორტი —	19—27
სასტვენო სროლა —	18—24
ტანვარჯიში —	18—28
ტყვიის სროლა —	18—24
ფარიკაობა —	20—29
ფეხბურთი —	18—31
ფრენბურთი —	18—30
ცურვა —	18—25
ცხენოსნობა —	22—1
ძალოსნობა —	18—27
ძიუ-დო —	26—31
წყალბურთი —	18—27
წყლში ხტომა —	19—27
ხელბურთი —	18—28

მმბლმის „საიდუმლო“

ეს ემბლემა როგორღაც ქვეყნის — კანადის სიმბოლოს — ნეკერჩხლის ფოთოლს გვაგონებს. მასზე ტრადიციული ხუთი გადაჯვარებული რგოლის გარდა თითქოს სხვა არაფერი ჩანს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით გეჩვენება.

აი როგორ გაშიფრეს იგი ოლიმპიადის ორგანიზატორებმა.

ემბლემის ზედა ნაწილი გამოსახავს გამარჯვების კვარცხლბეკს და ამით ოლიმპიურ შეჯიბრებებზე გამარჯვებულთა დიდებასა და მათ რაინდულ სულს მიგვაგონებს. ეს ნაწილი ასო „M“-ს გრაფიკულ მონახაზია, რომელიც ფრანგულ სიტყვა „montréal“-ის პირველი ასოა.

ემბლემის შუა ნაწილი გამოსახავს ოლიმპიური სტადიონის სარბენი ბილიკის ოვალს. და ბოლოს, ოლიმპიური რგოლები ხუთი კონტინენტის ათლეტთა ერთიანობის ნიმბოლოა. როგორც ვიცით, ეს რგოლები სხვადასხვა ფერისაა, რომლებიც თავებზე მნიშვნელობა 1920 წელს, ანტვერპენის XII ოლიმპიადაზე მიიღო. ლურჯი ფერი ევროპის გამომსახატელია, ყვითელი — აზიისა, შავი — აფრიკისა, მწვანე — ავსტრალიისა და წითელი — ამერიკისა.

ციხეფერ ეკრანსა და ეთერში

მონრეალის 21-ე საზაფხულო ოლიმპიური თამაშების რეპორტაჟებს დიდი ადგილი ეთმობა ცენტრალური ტელევიზიისა და ხაკავშირო რადიოს პროგრამებში.

ოლიმპიადის საზეიმო გახსნა ცისფერ ეკრანზე ნაჩვენები იქნება 18 ივლისს 19 საათსა და 50 წუთიდან.

ყოველდღიური გადაცემები ტელევიზიის ვიდეოჩანაწერით დაიწყება დღის 12 საათზე (ორსაათიანი პროგრამა), სადაც ნაჩვენები იქნება წინა დღის ასპარეზობანი. 19 საათსა და 15 წუთზე დაიწყება თხუთმეტწუთიანი „ოლიმპიადის დღიური“ (დღის პროგრამის უმნიშვნელოვანესი მოვლენების გამეორება). 22 საათსა და 30 წუთზე ტელეპროგრამა „ვრემიას“ დამთავრებისთანავე დაიწყება კიდევ ერთი გადაცემა — წინა დღის საღამოს გამართულ შეჯიბრებათა რეპორტაჟი.

საკავშირო რადიოს პირველი პროგრამით ყოველდღიურად 8 საათსა და 10 წუთიდან გადმოიცემა ხუთწუთიანი კომენტარი ოლიმპიადიდან, ზუსტად ერთი საათის შემდეგ — ათწუთიანი გამოშვება „21-ე ოლიმპიადაზე“. ეს გადაცემა გამეორებული იქნება 13 საათსა და 10 წუთზე და 20 საათსა და 20 წუთზე.

სპორტის მოყვარულებს, ცხადია, ყველაზე ძალიან დააინტერესებთ თხუთმეტწუთიანი გადაცემა 23 საათსა და 45 წუთზე, რადგანაც ეს იქნება პირდაპირი რეპორტაჟები მონრეალიდან.

დიდი ადგილი დაეთმობათ ოლიმპიურ გადაცემებს „ადიოსადგურ „მაპაკის“ პროგრამებშიც: 8 საათსა და 30 წუთზე, 11 საათსა და 30 წუთზე, 16 საათსა და 30 წუთზე, 19 საათზე, 22 საათსა და 30 წუთზე.

ტელე და რადიოგადაცემებს ოლიმპიური მონრეალიდან წაიკითხავენ ცნობილი კომენტატორები ნიკოლოზ ოზეროვი, ვლადიმერ მასლაჩენკო, ნინო ერიომინა, ალა დიმიტრიევა, ვლადისლავ სემიონოვი, სერგეი კონონიხინი და სხვები.

ოლიმპიაზრი ჩიტრაღდანი გზაშია

მონრეალი, 16 ივლისი. (საკადესის სპეც. კორ.). ათრიგად, კანადაში გზგზებს ოლიმპიური ცეცხლი. ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე იგი შორეული საბერძნეთიდან — ოლიმპიადის საშობლოდან — თანამედროვე სრულყოფილი ტექნიკის საშუალებით „მოვიდა“. ცეცხლი ანთეს მზის სხივებით ძველ ოლიმპიაში, შემდეგ, კი ბერძენმა ეთრბენლებმა ჩიტაღდანი ათენში ჩაიტანეს და გადასცეს კანადელ სპორტსმენს, რომელმაც ჩიტაღდანთ ცეცხლი აანთო სტადიონის თასში. სპეციალურმა ხელსაწყომ ალის იონიზებული ნაწილაკები ელექტრონულად გარდაქმნა. იონიზებული ოლიმპიური ცეცხლი თანამგზავრის საშუალებით გადასცეს ოტავაში, სადაც ლაზერის ხელსაწყომ იგი კვლავ ალად აქცია პარლამენტის ბორცვზე დადგმულ თასში.

ახლა 12 კანადელი მორბენალი ამ ცეცხლს დედაქალაქიდან ოტარიოსა და კვებეკის პროვინციების გზებით წაიღებს. მონრეალში — XXI ოლიმპიადის დედაქალაქში — ცეცხლი ასპარეზობის გახსნის დღეს — 17 ივლისს აგიზგიზდება.

„ოლიმპიადა-80“

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიამ მონრეალში დაამტკიცა 1980 წლის მოსკოვის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების ოფიციალური ემბლემა. ემბლემის ძირითადი ელემენტებია ხუთი ერთმანეთთან გადაჯვარებული რგოლი, სტადიონის სარბენი ბილიკები, რომლებიც მოსკოვის არქიტექტურული სახისათვის დამახასიათებელ სილუეტს ქმნიან, და ემბლემის ზედა ნაწილში ალუმენდილია ხუთქმიანი გარსკვლავი. (საკადესი).

ბაღრაკი

ლიდერთა რბოლა

ბერნი, 16 ივლისი. (საკადესი). ბილის საზონთაშორისო საველოსიპედო შეჯიბრების ოთხი ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული რამდენადმე შეიცვალა. სმისლოვი და პორტიში (უნგრეთი) დარჩნენ სამეულში, ხოლო ლარსენის (დანია) ადგილი დაიკავა ჰიუბნერმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

მეოთხე ტურში პეტროსიანმა ყველზე დაამთავრა შეხვედრა ტალთან, სმისლოვმა — პორტიშთან. ჰიუბნერმა დაამარცხა დასი (კუბა), ჩომმა (უნგრეთი) — ანდერსონი (შვეცია). გელერმა გადადო შეხვედრა ლომბარდისთან (შვეიცარია).

ამრიგად, ლიდერებს ახლა ხამსაში ქულა აქვთ, ლარსენს — 2,5 (ერთი გადადებული პარტია), პეტროსიანს — 2,5, გულკოს — 2 (1), ტალს — 1,5, გელერს — 0,5 (1).

ოთხთა ტურნირი

მანილა, 15 ივლისი. (საკადესი). ოთხი დედოსტატის საჭადრაკო ტურნირზე ბინ ანალიზის შემდეგ კარპოვმა ფილიპინელ ტორესთან 48-ე სვლაზე გადადებულ პარტიაში თავი დამარცხებულად ცნო.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენების შესაბამისად სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახბანკმა დაადგინეს, რომ 1948 წლის სახელმწიფო ორპროცენტიანი სესხის ამ ობლიგაციების ანაზღაურება, რომლებიც დაფარვის ტირაჟში არ შესულა, 1976 წლის 11 აგვისტოდან დაიწყება შემთხვევა სალარიებში მათი წარდგენისთანავე.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

ეკრანი პროგრამა

19 ივლისი

10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა,
11.00 — „ცხოველთა სამყაროში“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.00 — „XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მონრეალიდან),
14.00 — მხატვრული ფილმი „მამაცთა შვიდეული“,
17.05 — ბავშვებისათვის — ნახატი ფილმები — ფერადი გამოსახულებით,
17.45 — განცხადებები,
17.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩიპი“,
18.20 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა,
18.40 — „მეცნიერება და ცხოვრება“ — ა. ზურაბაშვილი,
19.00 — კონცერტი,
20.15 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები“ — ფიზიკოსთა XVIII კონფერენცია,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — „მღერის თენგიზ ზალიშვილი“ — ფერადი გამოსახულებით,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მონრეალიდან).

20 ივლისი

10.30 — „ბურატინოს გამოფენა“,
11.00 — „ეროვნული ბალეტი“,
12.00 — „XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მონრეალიდან),
14.00 — მხატვრული ფილმი „ბრდღვინვარეთის რაფსოდია“. ფერადი გამოსახულებით,
17.05 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „გამარჯობა ბალეტ!“,
17.35 — „ბავშვებისათვის — „ოქროვანი თეატრი“,
18.20 — განცხადებები,
18.25 — „უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ ღირსეულნი“,
18.50 — კონფერენციები „ხიმტ-ბიცის ატომი“,
19.00 — „პარტიის გეგმები — ხალხის გეგმებია“,
19.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი,
19.55 — „მეცხრე სტუდია“. გადაცემა მიაჯავს პოლიტიკური მიმოხილველს — ვ. ზორინს — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო-პროგრამა,
21.30 — „ახალგაზრდების ხელოვნება“ — ფერადი გამოსახულებით,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მონრეალიდან).

21 ივლისი

10.30 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „გულკა“,
10.55 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უფროსი შვილი“. (I სერია),
12.00 — „XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მონრეალიდან),
17.05 — კონფერენციები,
17.15 — მოსწავლეთათვის — „დიდი გზის დასაწყისი“ (გამეორებთ),
18.10 — „განვახორციელოთ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი“. — „მექანიზაცია ჩაინში“,
19.00 — „სპორტული ალმანახი“,
20.00 — „პოლიტიკური მიმოხილვა“,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — „საესტრადო პანორამა“,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა. (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მონრეალიდან).

22 ივლისი

10.30 — მ. ჩერნიაკის ოპერა „წითელქუდა“,
10.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უფროსი შვილი“ (II სერია),
12.00 — „XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მონრეალიდან),
17.05 — მოსწავლეთათვის. სატელევიზიო ჟურნალი „კოცონი“,
17.35 — კინონარკვევი — „ფანჯარა სამყაროში“,
17.50 — განცხადებები,
17.55 — „განვახორციელოთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი“ — ცხაკაიას რაიონი,
18.25 — კინონარკვევი — „საუკუნის პრობლემა“. ფერადი გამოსახულებით.
18.45 — „სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა“,
19.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
19.30 — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სატელევიზიო პროგრამა — ეძღვნება პოლონელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს — პოლონეთის აღორძინების დღეს. (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე“. ფერადი გამოსახულებათ (გადმოცემა მონრეალიდან).

23 ივლისი

10.30 — სატელევიზიო მიმოხილვა „ხალხური შემოქმედება“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი,
12.00 — „XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მონრეალიდან),
16.55 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ქეთილი ძიები“,
18.10 — ბავშვებისათვის კონცერტი,
18.40 — „მეზღვეურა ხაინტერესო ადამიანებთან“ — მ. ბიწაძე,
19.00 — „დიალოგი ტელემაყურებლებთან“,
19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.00 — „მთელი გულით“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მონრეალიდან).

24 ივლისი

10.30 — „ხელმარჯვე ოსტატები“,
11.00 — „თქვენთვის, მზობლებმა“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.30 — „მუსიკალური პროგრამა — ოლეგ ფოლტინი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
14.00 — „საუკეთესო ოლიმპიური თამაშებზე“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მონრეალიდან),
14.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის,
14.45 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები“ — ატომფიზიკის გლობალური კვლევა,
15.15 — „საგაზაფხულო ჩემპიონატის შედეგები“,
15.45 — სატელევიზიო დოდმა „გედის სიმღერა“,
16.15 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
16.45 — კონცერტი,
17.15 — საუბარი საერთაშორისო თემაზე. სტუდიაში გაზეთ „პრავდის“ პოლიტიკური მიმოხილველი ი. ა. ჟოკოვი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.00 — დოკუმენტური ფილმი „სიმტკიცე აჩენს სამყაროს“,
18.15 — „კინოს სამყაროში“,
19.15 — „XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მონრეალიდან),
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — საესტრადო გასართობი პროგრამა,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „მსახიობი და როლები“ — გიორგი ბეგეჟევი.

25 ივლისი

10.30 — „მაგდანარა“,
11.00 — „ყინოვანეთში“,
11.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმების პროგრამა. „საუკუნის პრობლემა“ და „ოცდამეერთე საუკუნის ენერგია“,
12.00 — „XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მონრეალიდან),
14.00 — „კინოს მოყვარულთათვის“,
15.00 — „დღეს საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.15 — „მუსიკალური ჯოჯი“,
15.45 — სატელევიზიო ჟურნალი „მომზმარებელი“,
16.35 — „ადამიანი და გარემო“,
17.00 — ახალგაზრდობა „სატელევიზიო პროგრამა,
17.45 — „საერთაშორისო პანორამა“,
18.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კაპიტენებო, კაპიტენებო“,
18.35 — „ია“ — ლიტერატურული კომპოზიცია. ეძღვნება ნინო ბერძენიშვილის მიხეიდეთ. ფერადი გამოსახულებით,
19.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
19.15 — „XXI საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მონრეალიდან),
21.00 — „კინომოგზაურთა კლუბი“,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — მხატვრული ფილმი „ეპვი“.

ტელევიზია

17 ივლისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებს „ცხოველების შესახებ“ ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ XII სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.05 — „თქვენთვის მზობლებო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.20 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბავშვები“, 13.50 — ეფუძნებიანობა და ხარისხი მთავარი საზრუნავი, 14.20 — საქართველოს ტელევიზიის საესტრადო ორკესტრის კონცერტი ფერადი გამოსახულებით, 14.55 — პირველად ჩვენს ეკრანზე ფერადი მხატვრული ფილმი „იქროლე, ნიავო“, 16.25 — „ჯადოსნური ეკრანი“, 16.40 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — „ჯანმრთელობა — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — სატელევიზიო ჟურნალი „თბილისი და თბილისელები“, 18.30 — საერთაშორისო მიმოხილვა „კომუნისტები და ევროპა“, 19.05 — „მეგობრები გვთავაზობენ“, 19.30 — ქართული სატელევიზიო ფერადი დოკუმენტური ფილმი „ოცნებების პალიტრა“, 19.40 — ახალგაზრდობისათვის — დროის „ეარნახიო“ (განმეორებით), 20.15 — კონცერტი, 20.45 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წინამძღოლთან“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ქინოს მოყვარულთათვის“, 23.45 — საზღვარგარეთის ესტრადის მხახიობთა კონცერტი. ბონი ძიაკინის კვარტეტი. იაპონია. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — განცხადებები, 18.10 — საესტრადო კონცერტი (ფერადი გამოსახულებთ), 18.40 — მხატვრული ფილმი „მამაცთა შვიდეული“.

თეატრები

17 ივლისი

ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი — ჯარზე 30-დის დიდებისათა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და განყოფილებები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1976 წლის 15 ივლისს 85 წლისა გარდაიცვალა დიდი საბჭოთა მეცნიერი და მეცნიერების გამოჩენილი ორგანიზატორი, სსრ კავშირის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, ქართული მათემატიკური სკოლის მამამთავარი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი პრეზიდენტი დაარსებიდან სამი ათეული წლის მანძილზე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საზღვარგარეთის ბევრი აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი მეცნიერი, ქართული მათემატიკური სკოლის მამამთავარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო ხაბჭოს წევრი, აკადემიკოსი

ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მათემატიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი და უცვლელი პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სტუდენტი ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი, მსოფლიოში ხანელგანთქმული ქართული მათემატიკური სკოლის მეთაური

ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

ქ. თბილისის ს. ზაქარიაძის სახელოვნების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი

აცხადებს 1976-77 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას, სასწავლებელი ამზადებს კლუბის მუშაკებს:

**1. საგუნდო კ